ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება

თავი I. ზოგადი დებულებები

1. მიზანი

1.1. ეს დებულება აწესრიგებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სადოქტორო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ პროცედურას „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ დადგენილების (N 171/ 02.02.2009) შესაბამისად.
1.2. დოქტორანტურის მიზანია: სამეცნიერო და უმაღლესი სკოლის პედაგოგიური კადრების მომზადება. დოქტორანტის ინტელექტუალური ზრდა, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება და ხარისხის ამაღლება, დოქტორანტის ჩართვა საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში, ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვისათვის ხელშეწყობა.

2. დოქტორანტურა

2.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "ტ" ქვეპუნქტის თანახმად, დოქტორანტურა არის უმაღლესი განათლების მესამე საფეხური, სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო და უმაღლესი სკოლის პედაგოგიური კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.
2.2.დოქტორანტი არის პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში.
2.3.დოქტორანტურა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს.
2.4. დოქტორი უმაღლესი აკადემიური ხარისხია, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის კურსდამთავრებულს ენიჭება დისერტაციის დაცვის შემდეგ შემდეგი მიმართულებით*:

- ფილოსოფიის დოქტორი
- ფილოლოგიის დოქტორი
- ისტორიის დოქტორი
- ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
- განათლების მეცნიერებების დოქტორი
- არქეოლოგიის დოქტორი

- ანთროპოლოგიის დოქტორი
- ამერიკისმცოდნეობის დოქტორი

3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლა

3.1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.
3.2. დოქტორანტობის კანდიდატი წარმოდგენს განაცხადს და ამ დებულებით დადგენილ სხვა დოკუმენტაციას და გადის გასაუბრებაზე თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით დადგენილი წესით.
3.3. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიეცეს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.
3.4.დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს პირს, რომელსაც უკვე აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან დოქტორის სამეცნიერო ხარისხი რომელიმე სხვა დარგში ან სპეციალობაში. ამასთან იგი არ სარგებლობს რაიმე შეღავათით არც ჩარიცხვის დროს და არც დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში.
3.5. დოქტორანტურაში მიღების წესი რეგულირდება თსუ აკადემიური საბჭოს სპეციალური დადგენილებით.
3.6. დოქტორანტს აქვს უფლება შეიცვალოს სადოქტორო პროგრამა ფაკულტეტის ფარგლებში. ამის თაობაზე იგი განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს და იმ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობის შემთხვევაში, რომელ პროგრამაზე გადასვლაც სურს დოქტორანტს, აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამის შეცვლა ფორმდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე.

თავი I I

1. სადოქტორო პროგრამა

1.1.ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლა მიმდინარეობს სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.

1.2 ფაკულტეტი დოქტორანტურაში მიღებას აცხადებს კონკრეტულ სადოქტორო პროგრამებზე.
1.3. სადოქტორო პროგრამა განსაზღვრავს მეცნიერების ამა თუ იმ დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვების პირობებს.
1.4. სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის დაცვით.
1.5. სადოქტორო პროგრამაში ჩართულ დოქტორანტს ჰყავს სამეცნიერო ხელმძღვანელი და აქვს კონკრეტული კვლევითი პროექტი, რომელიც

მიესადაგება შემოთავაზებული სადოქტორო პროგრამის პრობლემატიკას/სფეროს.
1.6.ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამები მოიცავს 180 კრედიტს, აქედან სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს, კვლევითი კომპონენტი - 120 კრედიტს.

2. სადოქტორო პროგრამის სახეები

2.1. სადოქტორო პროგრამა შეიძლება იყოს დარგობლივი, დარგთაშორისი ან თემატური.
2.2. თემატური სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია ცალკეული მეცნიერული პრობლემის კვლევაზე და იგი ხორციელდება ეროვნული ან საერთაშორისო გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტის ბაზაზე.
2.3 დაფინანსებული კვლევების ბაზაზე განხორციელებული სადოქტორო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს თსუ აკადემიური საბჭოს N172 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს სადოქტორო პროგრამების წარმოდგენის ინსტრუქციის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ.
2.4. სადოქტორო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს საქართველოს სამეცნიერო–კვლევით ცენტრებთან და ინსტიტუტებთან, უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სამეცნიერო–კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით.
2.5 ერთობლივი საერთაშორისო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს თსუ აკადემიური საბჭოს N 172 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
2.6. სადოქტორო პროგრამები შეიძლება გაერთიანდეს სადოქტორო სკოლებში, ინტერდისციპლინურ ცენტრებში და ა. შ.
2.7. თსუ ყოფილი ასპირანტებისა და მაძიებლებისათვის და იმ კვლევითი ინსტიტუტების ასპირანტებისა და მაძიებლებისთვის, რომლებთანაც თსუ-ს აქვს გაფორმებული მემორანდუმი, მიღება ცხადდება ე. წ. ინდივიდუალურ სადოქტორო პროგრამებზე, რომელიც არ შეიცავს სასწავლო კომპონენტს და განკუთვნილია იმ ყოფილი ასპირანტებისა და მაძიებლებისთვის, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ ე. წ. საკანდიდატო მინიმუმის საგნები 1996–2006 წლებში.

3. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი

3.1 სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე სრული ან ასოცირებული პროფესორი, შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსონალის საერთო შეთანხმებისა და გადაწყვეტილების საფუძველზე.
3.2 სადოქტორო პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს მოწვეულმა, შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირმა შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსონალის შუამდგომლობისა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.
3.3 პროგრამას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი.
3.4 სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს კურიკულუმის შემუშავების პროცესს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები, შესაბამისი დარგის

სპეციალისტები, დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელები; სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების პროცესის საჯაროობასა და გამჭვირვალობას; სადოქტორო პროგრამის საჯარო განხილვას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (ინსტიტუტი, დეპარტამენტი, კათედრა და ა. შ.) ან შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების სხდომაზე.

3.5 სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი არის ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითადი საკონტაქტო პირი, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.

3.6 სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს ევალება: სტუდენტების ინფორმირება კურიკულუმის შესახებ, დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად კონსულტაციის გაწევა სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობა სადოქტორო სემინარში, პროგრამის მონაწილე დოქტორანტების სასწავლო და კვლევითი კომპონენტის განხორციელების მონიტორინგი და სხვ.

3.7 სრული ან ასოცირებული პროფესორი (ასევე მოწვეული, შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და დარგობრივი კვალიფიკაციის პირი) შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი.

3.8. სადოქტორო პროგრამის წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურა განსაზღვრულია თსუ აკადემიური საბჭოს N172 დადგენილებით სადოქტორო პროგრამების წარმოდგენის ინსტრუქციის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ.

4. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

4.1. ფაკულტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელით.

4.2. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი - სადოქტორო პროგრამაში ჩართული სრული ან ასოცირებული პროფესორი.

4.3.სამეცნიერო ხელმძღვნელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.

4.4. დოქტორანტის თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

4.5. სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევისას პირველ რიგში განიხილება დოქტორანტის მიერ შემოთავაზებული კანდიდატურა.

4.6. სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმის შესრულებას.

4.7. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს და სადისერტაციო თემის სათაურს ამტკიცებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო სადოქტორი პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით.
4.8. ერთი პროფესორი ერთდროულად შეიძლება იყოს არაუმეტეს სამი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი (შეზღუდვა არ ვრცელდება ე. წ. გარდამავალი სადოქტორო პროგრამების დოქტორანტების ხელმძღვანელობაზე).
4.9. თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი უარს ამბობს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე, ამის შესახებ მან სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განცხადება უნდა წარუდგინოს სადისერტაციო საბჭოს.
4.10. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს უფლება აქვს, დოქტორანტს სამეცნიერო ხელმძღვანელად დაუტოვოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აღარ უჭირავს თსუ-ში აკადემიური თანამდებობა. ასეთ შემთხვევაში ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მისი საბჭოში მოწვევის შესახებ.

5. დოქტორანტურაში მიღების პირობები

5.1. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება მხოლოდ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.
5.2. დოქტორანტობის კანდიდატი წარმოადგენს განაცხადს და გადის გასაუბრებას დარგობრივ მიმღებ კომისისათან.
5.3. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობაა სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის ან სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა.
5.4. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა (”უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება, შესაბამისი სერთიფიკატებისა და ქულების ნუსხა” იხ.: დანართი 1)
5.5. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც განათლება მიღებული არ აქვს ქართულ ენაზე და ქართულენოვან სადოქტორო პროგრამაზე სურს სწავლის გაგრძელება, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში დადგენილი წესით.

6. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი და წინაპირობები

6.1. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველს წერილობითი განაცხადი შეაქვს რექტორის სახელზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს სადოქტორო პროგრამა. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

- განმცხადებლის ავტობიოგრაფია („CV“);
- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის დამოწმებული ასლი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის ან პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა;

- უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ასლთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) .
- ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ განმცხადებელი არ ირიცხება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურაში.

6.2. დოქტორანტობის კანდიდატი გასაუბრებას გადის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დარგობრივ კომისიასთან, რომელიც იქმნება ფაკულტეტის წარდგინებით რექტორის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე. კომისიის წევრებს კანდიდატის საანკეტო მონაცემებს მოახსენებს და შუამდგომლობას აცნობს კომისიის თავმჯდომარე.

6.3. უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისა და გასაუბრების გავლის შემდეგ დოქტორანტურაში მიმღები საფაკულტეტო კომისიის დასკვნის საფუძველზე დეკანის წარდგინებით უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს კანდიდატის დოქტორანტად ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს.

6.4. ქართული და უცხო ენის გამოცდის ორგანიზებას და ჩატარებას უზრუნველყოფს თსუ-ს საგამოცდო ცენტრი.

6.5. უნივერსიტეტი, დოქტორანტი, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ჩარიცხვის შემდეგ ხელს აწერენ ხელშეკრულებას, რომელიც განსაზღვრავს ყველა მხარის ვალდებულებებსა და უფლებებს. ხელშეკრულების ნაწილია დოქტორანტის ინდივიდუალური **სასწავლო და კვლევითი** გეგმა (იხ. დანართი 2. ფორმა N1, ფორმა N 2).

7. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა და ჩაბარების ვადები

7.1. დოქტორანტმა სწავლისა და კვლევის პროცესში 3 წლის (6 სემესტრის) განმავლობაში უნდა დააგროვოს 180 კრედიტისა. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტმა შეძლო სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება და სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა სადისერტაციო საბჭოსთვის 3 წელზე (6 სემესტრზე) უფრო ნაკლებ დროში, მაშინ შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია, გამონაკლისის სახით მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული დოქტორანტის დისერტაციის დაცვაზე დაშვების შესახებ.

დოქტორანტს, რომელიც დადგენილ ვადაში ვერ წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომს, უფლება ეძლევა დაასრულოს დოქტორანტურაში სწავლა არაუმეტეს 4 სემესტრის განმავლობაში.

7.2. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში სასწავლო კომპონენტს ეთმობა არანაკლებ 40 და არაუმეტეს 60 კრედიტისა, დანარჩენი ეთმობა კვლევას.

7.3. დოქტორანტები, რომელთაც შესრულებული აქვთ ამ დებულებით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი, სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული კრედიტების დაგროვების შემდეგ დისერტაციას წარადგენენ და დაიცავენ დადგენილი წესით.

7.4 დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებისათვის.

8. დოქტორანტურის კომპონენტები

8.1 დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი

8.1.1. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი არის სასწავლო და კვლევითი ელემენტების ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.
8.1.2. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო და არჩევით კომპონენეტებს.
8.1.3. სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ელემენტებიდან თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა დოქტორანტისათვის სავალდებულოა:

- სწავლების თანამედროვე მეთოდები (არანაკლებ 5 კრედიტისა)
- პროფესორის ასისტენტობა (არანაკლებ 5 კრედიტისა)
- დოქტორანტის 2 კოლოკვიუმი (არანაკლებ 10 კრედიტისა)
- მეცნიერების მენეჯმენტი (არანაკლებ 5 კრედიტისა)

სასწავლო კომპონენტის დანარჩენი ელემენტები (საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები, პრაქტიკა , საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი/კურსები, უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი/კურსები , კვლევის მეთოდები, აკადემიური წერა, სპეციფიკური დარგობრივი კურსები, სხვა სახის აქტივობა) არის არჩევითი.

8.1.4. დოქტორანტი სადოქტორო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით განსაზღვრავს სასწავლო კომპონენტის სავადლებულო და არჩევით ელემენტებს და მათი კრედიტების რაოდენობას, რასაც ასახავს დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში.

8.1.5. სასწავლო კომპონენტის ზოგადი სქემა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის:

სავალდებულო სასწავლო კომპონენტები*	
სწავლების თანამედროვე მეთოდები	5 კრედიტი
დოქტორანტის **I** კოლოკვიუმი	5 კრედიტი
დოქტორანტის **II** კოლოკვიუმი	5 კრედიტი
პროფესორის ასისტენტობა	5 კრედიტი
მეცნიერების მენეჯმენტი	5 კრედიტი

	სულ 25 კრედიტი
არჩევითი სასწავლო კომპონენტები	
საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები	5-30 კრედიტი
პრაქტიკა	5-10 კრედიტი
საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი/კურსები	5-15 კრედიტი
უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი/კურსები	5-60 კრედიტი
კვლევის მეთოდები	5 კრედიტი
აკადემიური წერა	5 კრედიტი
ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა	10 კრედიტი
სპეციფიკური დარგობრივი კურსები	5-15 კრედიტი
სხვა სახის აქტივობა ***სასწავლო კომპონენტის განმარტებანი იხ. დანართი N 3**	5-10 კრედიტი

8.2. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმა

8.2.1. დოქტორანტის ინდივიდუალური **სასწავლო და კვლევითი** გეგმა იქმნება დარგში მიღებული ცოდნის გასაღრმავებლად და კონკრეტული კვლევითი პროექტის განსახორციელებლად.

8.2.2. თითოეული დოქტორანტი სასწავლო კომპონენტის საფაკულტეტო სქემის ფარგლებში თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან და შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით თავად ადგენს **ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.** ეს უკანასკნელი დამოკიდებულია დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის, შესაბამისი დარგისა და სადოქტორო პროგრამის სპეციფიკაზე, დოქტორანტის აკადემიურ გამოცდილებაზე, ფაკულტეტის აკადემიურ პოტენციალსა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე. დოქტორანტი შევსებულ სპეციალურ ფორმას (ფორმა N1) წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციას, კერძოდ, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს.

8.2.3.ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ დოქტორანტი შევსებულ სპეციალურ ფორმას (**ფორმა N1, ფორმა N3**) და მის თანდართულ დოკუმენტაციას წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციას, კერძოდ, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს, რომელიც სადისერტაციო საბჭოს ოფიციალურად აცნობებს დოქტორანტის მიერ სასწავლო კომპონენტის შესრულების შესახებ.

8.2.4.დოქტორანტურაში სწავლის დასაწყისში დოქტორანტი თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან და შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ კვლევით გეგმას და შევსებულ სპეციალურ ფორმას (**ფორმა N 2**) წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციას, კერძოდ, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს.

8.2.5.დოქტორანტის **ინდივიდუალური კვლევითი გეგმა** იქმნება სადისერტაციო ნაშრომის (კონკრეტული კვლევითი პროექტის) განსახორციელებლად. დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით გეგმაში მოცემულია კვლევის მიზანი, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის სავარაუდო გრაფიკი.

9.დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა

9.1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება დოქტორანტის სტატუსი შეუწყდეს:

- პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში;
- დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში;
- სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციით, თუ იგი დაასაბუთებს, რომ დოქტორანტი ვერ ართმევს თავს სასწავლო და კვლევით გეგმას და/ან სწავლის დარჩენილ პერიოდში ვერ შეასრულებს ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმით გათვალისწინებულ ამოცანებს.
- უნივერსიტეტს, დოქტორანტსა და სამეცნიერო ხელმძღვანელს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისას.

თავი III

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

1.1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც შექმნილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

1.2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ფაკულტეტის ყველა სრული და ასოცირებული პროფესორისაგან.

1.3. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება შევიდნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირები უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

2. სადისერტაციო საბჭოს მუშაობის წესი

2.1. სადისერტაციო საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს ფაკულტეტის საბჭოს მიერ შემუშავებული და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წინამდებარე დებულების შესაბამისად.
2.2. სადისერტაციო საბჭო შედგება 5 დარგობრივი სექციისაგან, რომელებშიც ერთიანდებიან საბჭოს წევრი შესაბამისი დარგის სპეციალისტები.
2.3. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს სხდომაზე, სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის 30%-ზე მეტი. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების, სულ მცირე, 2/3. გადაწყვეტილებები მიიღება ფარული ან ღია კენჭისყრით, საბჭოს წინასწარი თანხმობის საფუძველზე.

2.4. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით 3 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. თავმჯდომარის არჩევამდე საბჭოს პირველ სხდომას უძღვება ფაკულტეტის დეკანი.

2.5. სადისერტაციო საბჭო თავმჯდომარის წარდგინებით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს (საბჭოს შემადგენლობიდან) 3 წლის ვადით
2.6. სადისერტაციო საბჭოს სხდომებს იწვევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში საბჭოს უძღვება თავმჯდომარის მოადგილე.
2.7. საბჭოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/5-ის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა.
2.8. სადისერტაციო საბჭოს სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.
2.9. სადისერტაციო საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება დოქტორანტს უნდა ეცნობოს წერილობით.

3. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციები და გამგეობა

3.1. თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს აქვს 5 დარგობრივი სექცია: ფილოსოფიის, ფილოლოგიის, ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობის და განათლების მეცნიერებების, რომლებშიც

ერთიანდებიან საბჭოს წევრი შესაბამისი დარგის სპეციალისტები.
3.2. დარგობრივი სექციის წევრები ირჩევენ ხელმძღვანელს თავისი შემადგენლობიდან 3 წლის ვადით. დარგობრივი სექციის ხელმძღვანელს ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო. ერთი და იგივე პირი დარგობრივი სექციის ხელმძღვანლად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
3.3. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის მდივანს (სექციის შემადგენლობიდან) სექციის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო 3 წლის ვადით.
3.4. სადისერტაციო საბჭოსთან იქმნება სადისერტაციო საბჭოს გამგეობა, რომლის შემადგენლობაში შედიან: სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი, სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციების ხელმძღვანელები და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

3.5. სადისერტაციო საბჭოს გამგეობის თავმჯდომარეა სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მდივანი – სადისერტაციო საბჭოს მდივანი.

4. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის მუშაობის წესი

4.1. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის საქმიანობა წარიმართება ფაკულტეტის საბჭოს მიერ შემუშავებული და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წინამდებარე დებულების შესაბამისად.
4.2. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექცია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების, სულ მცირე, 2/3.
4.3. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სექციის ხელმძღვანელი და მდივანი.

5. სადისერტაციო საბჭოს, გამგეობისა და დარგობრივი სექციის უფლებამოსილება

5.1. სადისერტაციო საბჭო:

- ირჩევს და ამტკიცებს საბჭოს თავმჯდომარეს;
- ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს მდივანსა და თავმჯდომარის მოადგილეს;
- ამტკიცებს დარგობრივი სექციის ხელმძღვანელსა და მდივანს;
- სადოქტორი პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს;
- ამტკიცებს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის თემას;
- წყვეტს დოქტორანტის თემისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის საკითხს.
- იღებს გადაწყვეტილებას აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევის შესახებ.

- ახორციელებს აკადემიური საბჭოს დადგენილებითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
- ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს მუშაობის რეგლამენტსა და სხვა აუცილებელ პროცედურებს და სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციას;
- სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს;

5. 2. სადისერტაციო საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ წელიწადში, სულ მცირე, ორჯერ მაინც.

5.3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სადისერტაციო საბჭოს სხდომას იწვევს საკუთარი ინიციატივით, დეკანის, სადისერტაციო საბჭოს მდივნის, სადოქტორო ხელმძღვანელის ან სადისერტაციო საბჭოს, სულ მცირე, სამი წევრის წინადადებით.

6.2. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექცია:

- ირჩევს დარგობრივი სექციის ხელმძღვანელსა და მდივანს;.
- განიხილავს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტთა კანდიდატურებს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან და თემის ხელმძღვანელთან ერთად და დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს გამგეობას;
- განიხილავს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის კანდიდატურებს და დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს გამგეობას;

- შეარჩევს დაცვის თარიღს და დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობას;
- სადისერტაციო საბჭოს გამგეობა თავის სხდომებზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით ამტკიცებს დარგობრივი სექციის წინადადებით თითოეული სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებს, სადისერტაციო კომისიის წევრებსა და დაცვის თარიღს;

7. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარისა და დარგობრივი სექციის ხელმძღვანელის უფლებამოსილება

7.1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე საჭიროებისამებრ იწვევს და უძღვება საბჭოს სხდომებს. მისი თანხმობით (ან სადისერტაციო საბჭოს გამგეობის თანხმობით) საბჭოს სხდომას შეიძლება უძღვებოდეს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

7.2. დარგობრივი სექციის ხელმძღვანელი საჭიროებისამებრ იწვევს დარგობრივი სექციის სხდომებს.

8. სადისერტაციო საბჭოსა და დარგობრივი სექციის მდივნის უფლებამოსილება

8.1. სადისერტაციო საბჭოს მდივანს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

8.2. სადისერტაციო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს და საბჭოს გამგეობის ორგანიზაციულ საქმიანობას.

• აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს და გამგეობის სხდომის ოქმებს უნივერსიტეტში საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად;
• ეხმარება თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;
• ხელმძღვანელობს საბჭოს არქივსა და საქმის წარმოებას;
• უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

8.3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე საბჭოს თავმჯდომარის (ან გამგეობის) თანხმობით ცალკეულ შემთხვევებში უძღვება სადისერტაციო საბჭოს სხდომას. ეხმარება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;

8.4. დარგობრივი სექციის მდივანი უზრუნველყოფს შესაბამისი დარგობრივი სექციის ორგანიზაციულ საქმიანობას.

8.5. კონსულტაციას უწევს და ეხმარება დოქტორანტებს დისერტაციის დაცვამდე და დაცვის შემდეგ სათანადო დოკუმენტაციის მომზადებაში.

9. სადისერტაციო ნაშრომი

9.1. დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს, რომელთაც წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში.

9.2. თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს მისი წვლილი.

9.3 დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. მას უნდა ახლდეს დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია 30-45 გვერდი (ფორმატი A5) ქართულ და ერთ-ერთ ევროპულ (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენაზე.

9.4. განსაკუთრებულ შემთხვევებში სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

9.5. ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში კვლევის ძირითადი შედეგები წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე (40-50 გვერდი, ფორმატი A4).

9.6. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობას, ფორმატსა და სხვა ტექნიკურ მონაცემებს განსაზღვრავს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო სათანადო ინსტრუქციით.

სადისერტაციო ნაშრომის ზღვრული მოცულობაა 150-250 გვერდი. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია დანართი (ინდექსი, ტექსტები და ა. შ). ფურცლის ზომა A4, შრიფტი სახეობა - AcadNusx, შრიფტის ზომა – 12. სტრიქონებს შორის მანძილი 1,5; გვერდის საზღვრები მარცხნიდან 3 სმ; მარჯვნიდან 1,5 სმ; ზემოდან და ქვემოდან 2,5 სმ. ნაშრომს უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი (ციტირებისა და ლიტერატურის მითითების წესი განისაზღვრება სადისერტაციო საბჭოს ინსტრუქციით, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო) .

9.7. დოქტორანტი ვალდებულია, დისერტაციის დაცვიდან არაუგვიანეს 6 თვისა გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით.

დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გამომცემლობის ვებ–გვერდზე. დისერტაციის ერთი ბეჭდური და ელექტრონული ეგზემპლარი უნდა გადაეცეს უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას. წინააღმდეგ შემთხვევაში დისერტანტზე არ გაიცემა დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი.

10. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

10.1. სადისერტაციო ნაშრომი საბჭოს გადაეცემა სამ აკინძულ და ერთ ელექტრონულ ეგზემპლარად.
10.2. დისერტაციის დაცვაზე დასაშვებად აუცილებელია, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა სადისერტაციო საბჭოს წარუდგინოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ იგი გაეცნო დისერტაციას და ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად.
გამონაკლისის სახით, ხელმძღვანელის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში დისერტანტის მოთხოვნით ნაშრომს შეიძლება მიეცეს მსვლელობა დაცვისათვის.

10.3. დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი 3 პუბლიკაცია მაღალი სამეცნიერო რეიტინგის მქონე რეცენზირებად ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში დაბეჭდილი 3 სტატიის ან 2 სტატიისა და ერთი მონოგრაფიის სახით, რომელსაც ჰყავს შესაბამისი დარგის კომპეტენტური რედაქტორი და რეცენზენტები. სტატიებიდან ერთი შეიძლება არ იყოს დასტამბული, მაგრამ მიღებული იყოს გამოსაქვეყნებლად.

10.4. სამეცნიერო ჟურნალების, კრებულების, აგრეთვე, მონოგრაფიების რედაქტორ-რეცენზენტთა კომპეტენტურობას გადაწყვეტს სადისერტაციო საბჭო.

10.5. დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო ნაშრომზე საერთაშორისო გამოხმაურების არსებობა და სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია, რაც გულისხმობს, რომ დოქტორანტმა უნდა დააკმაყოფილოს ქვემოთ წარმოდგენილი ერთ–ერთი მოთხოვნა მაინც:
ა) დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას ქართველი ხელმძღვანელის პარალელურად ჰყავს უცხოელი თანახელმძღვანელი;

ბ) დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომი სადოქტორო დისერტაციის თემაზე უკვე დაიბეჭდა ან მიღებულია დასაბეჭდად:
1) ან საზღვარგარეთ გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში;
2)ან იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში;
3)ან შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში;
4)ან საერთაშორისო კონფერენციის მასალებში

გ) საქართველოში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში დაბეჭდილი ან დასაბეჭდად მიღებული სტატია უტოლდება უცხოურ რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში გამოქვეყნებულს;

დ) დოქტორანტის სადისერტაციო თემაზე გამოქვეყნებული/გამოსაქვეყნებლად გადაცემული 1 სტატიის ან დისერტაციის შემოკლებული ვერსიის (30-45 გვერდი) საერთაშორისო რეცენზირება. სტატიის რეცენზენტი (ექსპერტი) შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის პირი, უცხოური უნივერსიტეტის და/ან სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის მეცნიერ–თანამშრომელი.

უცხოელი ექსპერტის დასკვნისათვის გამოყოფილი დრო განისაზღვრება რეცენზირებაზე თანხმობის მიღების დღიდან ორი თვის ვადით. ორი თვის განმავლობაში უცხოელი ექსპერტის პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში დოქტორანტის სტატია/დისერტაციის შემოკლებული ვერსია ეგზავნება სხვა უცხოელ ექსპერტს. სამი ექსპერტისგან დადგენილ ვადაში პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია შეასრულოს სადისერტაციო ნაშრომის შეფასების ინტერნაციონალიზაციის რომელიმე სხვა მოთხოვნა.

ექსპერტის რეცენზია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარედგინება სადისერტაციო საბჭოს დისერტაციის საჯარო დაცვის დროს გასაცნობად.

ე) დოქტორანტის დისერტაციის შემოკლებული ვერსიის/სტატიის რეცენზირება შეიძლება მოახდინოს აგრეთვე:

ა) თსუ-ში მოწვეული პროფესორის (visiting professor) სტატუსით მყოფმა პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტის და/ან სამეცნიერო კვლევითი ცენტრის პროფესორმა და/ან მკვლევარმა მისი თანხმობის შემთხვევაში;

ბ) თსუ-ში ამა თუ იმ სამეცნიერო სტიპენდიით, კვლევითი გრანტით მყოფმა უცხოელმა პროფესორმა და/ან მკვლევარმა მისი თანხმობის შემთხვევაში (მაგალითად, DAAD-ის, Fullbright-ის სტიპენდიანტები და სხვ.).

საერთაშორისო რეცენზირებისათვის სტატიების წარმოდგენისა და მათი შეფასების ერთიანი წესი განისაზღვრება თსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის მიხედვით („საერთაშორისო რეცენზირებისათვის სტატიების წარმოდგენისა და მათი შეფასების ერთიანი წესი“ იხ.: **დანართი 4**);

10.6 ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის მიმართულების სადისერტაციო ნაშრომებისთვის სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაციის **10.5** პუნქტით მითითებული ვარიანტების გარდა, დასაშვებია, რომ დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი პუბლიკაციებიდან ერთ-ერთი მაინც იყოს გამოქვეყნებული (ბეჭდური ან ელექტრონული სახით) უცხო ენაზე და დისერტაციის უცხო ენაზე თარგმნილი შემოკლებული ვერსია (30–45 გვერდი) დაიგზავნოს შესაბამის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო–კვლევით ცენტრებში, რომელთა ნუსხას ყოველი დისერტაციისათვის ადგენს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო .

10.7 დოქტორანტი თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციისა და სწავლის საფასურის გადახდისაგან ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურში დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების დასრულების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ (ფორმა N1, ფორმა N3, სადისერტაციო ნაშრომის ერთი ნაბეჭდი ეგზემპლარი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა)

ინდივიდუალურ (გარდამავალ) სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული დოქტორანტები სემესტრული რეგისტრაციისა და სწავლის საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურში სადისერტაციო ნაშრომის ერთი ნაბეჭდი ეგზემპლარის წარმოდგენის შემდეგ, რომელსაც უნდა ახლდეს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა.

10.8. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა სადისერტაციო საბჭოში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა იმის თაობაზე, რომ იგი გაეცნო დისერტაციას და ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად.
- სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის კრედიტების დაგროვების დამადასტურებელი დოკუმენტი (დოკუმენტს გასცემს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური);
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სტატიის ნაბეჭდი ვერსია და რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა.
- იმ სამეცნიერო სემინარებისა და ფორუმების მასალები, სადაც მოხსენებულ იქნა სადისერტაციო ნაშრომის დებულებები თუ შედეგები.
- სადისერტაციო ნაშრომის შეაფასების პროცესის ინტერნაციონალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (10.5 პუნქტის მიხედვით).
- დოქტორანტის ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რომ ნაშრომი მის მიერ არის შესრულებული და ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული.
- წარმოდგენილ დოკუმენტებს შემოწმებას ახდენს სადისერტაციო საბჭოს მდივანი და დარგობრივი სექციის მდივანი;
- სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის დასკვნის საფუძველზე დისერტაციას დაცვისთვის მსვლელობას აძლევს სადისერტაციო საბჭო.

11. დისერტაციის წინასწარი შეფასება

11.1. დისერტაციის წარდგენის შემდეგ სადისერტაციო საბჭოს გამგეობა დარგობლივი სექციის წარდგინების საფუძველზე დისერტაციის შესაფასებლად გამოყოფს სულ მცირე ორ შემფასებელს (ოპონენტს), რომლებიც წარუდგენენ სადისერტაციო საბჭოს სადისერტაციო ნაშრომის წერილობით რეცენზიას ნაშრომის მიღებიდან არა უგვიანეს ორი თვისა;

11.2. შემფასებლად (ოპონენტად) ინიშნება პირი, რომელსაც სადისერტაციო ნაშრომის სპეციალობით აქვს პუბლიკაციები.
11.3. შემფასებელი (ოპონენტი) არ შეიძლება იყოს დისერტანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი, აგრეთვე, დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი;
11.4. ერთი შემფასებელი (ოპონენტი) შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის და შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე უცხოელი შემფასებელი (ოპონენტი);
11.5. რეცენზია სადისერტაციო ნაშრომის შეფასებასთან ერთად უნდა შეიცავდეს შესაბამის რეკომენდაციას ნაშრომის დაცვაზე დაშვების ან შესასწორებლად დოქტორანტისათვის უკან დაბრუნების, ანდა დაცვაზე უარის თქმის შესახებ;
11.6. დისერტაციის შეფასება ხდება რეცენზენტთა დასკვნების საფუძველზე. თუ რეცენზენტთა ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია საჯარო დაცვაზე დაშვებული არ იქნება.
11.7. ორი რეცენზენტიდან ერთის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო 10 დღის ვადაში გამოყოფს მესამე რეცენზენტს; რეცენზენტებმა თავიანთი წერილობითი დასკვნა უნდა წარმოადგინონ დისერტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 2 თვისა. მესამე რეცენზენტის დანიშვნის შემთხვევაში მას ნაშრომის შეფასებისათვის ეძლევა 1 თვე.
11.8. დასკვნაში მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილება დისერტაციის დაცვაზე დაშვების, მისი შესწორების მიზნით დოქტორანტისათვის დაბრუნების ან დაცვაზე უარის შესახებ. უმნიშვნელო შენიშვნების შემთხვევაში დისერტაციის მიღება ხდება ხარვეზების გამოსწორების პირობით;
11.9. თუ დისერტაცია არ იქნება დაშვებული დაცვაზე, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს უფლება ეძლევა დამატებით იმუშაოს დისერტაციაზე და ხელახლა წარუდგინოს საბჭოს 1 წლის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში პირი დაცვაზე აღარ დაიშვება;
11.10. შესწორებული ნაშრომის ისევ უარყოფითად შეფასების შემთხვევაში დოქტორანტის ნაშრომი არ მიიღება დასაცავად;
11.11. სადისერტაციო საბჭო გადასცემს დოქტორანტს რეცენზენტების დასკვნებს, ხოლო დაცვაზე დაშვების შემთხვევაში ატყობინებს დაცვის თარიღსაც. დოქტორანტს უნდა მიეცეს, სულ მცირე, 1 თვის ვადა დაცვისათვის მოსამზადებლად;
11.12. თუ დოქტორანტს უარი ეთქვა დაცვაზე, უარყოფილი სადისერტაციო ნაშრომის ერთი პირი და რეცენზენტების წერილობითი დასკვნები შესანახად გადაეცემა სადისერტაციო საბჭოს არქივს. დოქტორანტი უფლებამოსილია გაეცნოს ამ დოკუმენტებს. დანარჩენი დოკუმენტები დაუბრუნდება დოქტორანტს.

12. სადისერტაციო კომისია

12.1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე შესაბამისი დარგობრივი სექციის ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციით სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად ქმნის სადისერტაციო კომისიას;

12.2. სადისერტაციო კომისია იქმნება, სულ მცირე, შვიდი წევრის შემადგენლობით (ზოგადად, კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კენტი რიცხვით), რომელთაც აქვთ ხმის მიცემის უფლება;
12.3. კომისიის წევრად არჩეული უნდა იქნეს შესაბამისი დარგის (ან საგანგებო შემთხვევაში მომიჯნავე დარგის) სპეციალისტი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.
12.4. ხელმძღვანელს და შემფასებელს აქვთ კომისიაში სათათბირო ხმით მონაწილეობის უფლება. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე დარგის სპეციალისტებიც, რომლების არ არიან ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრები. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის ნახევარი მაინც უნდა დაკომპლექტდეს სადისერტაციო საბჭოს წევრებით;
12.5. სადისერტაციო კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელიც უნდა იყოს უნივერსიტეტის სრული, ასოცირებული ან საპატიო პროფესორი. თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს დისერტანტის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი ან შემფასებელი. თავმჯდომარე ასახელებს მდივანს კომისიის წევრთაგან.
12.6. სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა;
12.7. სადისერტაციო კომისია უფლებამოსილია გაეცნოს დისერტაციასთან დაკავშირებით შემოსულ წერილობით გამოხმაურებებს.

13. დისერტაციის დაცვა

13.1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო; ინფორმაცია დაცვის შესახებ ქვეყნდება ფაკულტეტის ვებ-გვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ 20 დღით ადრე.
13.2. დისერტაციის დაცვის ენა არის ქართული. გარდა სპეციალური შემთხვევებისა, რომლებზედაც გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო;
13.3. დაცვის მსვლელობა და მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი;
13.4. დისერტაციის დაცვა შედგება შემდეგი პროცედურებისაგან:

- დოქტორანტის მოხსენება (არა უმეტეს 30 წუთისა);
- რეცენზიების საჯაროდ წაკითხვა;
- სამეცნიერო დისკუსია;
- კომისიის დახურული სხდომა სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად, რომელსაც ესწრებიან მხოლოდ კომიის წევრები;
- სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოცხადება.

13.5. კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი დისერტაციის დაცვა.
13.6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა უნდა მოხდეს ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენის დღიდან 6 თვის განმავლობაში.

14. დისერტაციის შეფასება

14.1. დისერტაციის შეფასების კრიტერიუმებია:
• საკვლევი თემის აქტუალობა და სიახლე;
• კვლევის მეთოდების გამოყენების სათანადო დონე; კვლევის საგანთან და ობიექტთან მათი შესაბამისობა;
• მეცნიერების მოცემული დარგის განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილი წვლილი.
14.2. სამეცნიერო დისკუსიის დასრულების შემდეგ სადისერტაციო კომისია დახურულ სხდომაზე აფასებს სადისერტაციო ნაშრომს ფარული კენჭის ყრით, რაზეც დგება ოქმი (სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით).
14.4. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარის ხმას.
14. 5. სადისერტაციო ნაშრომი ფასდება შემდეგნაირად:
ა) (P) – დაიცვა; ბ) (F) – ვერ დაიცვა.
14.6. დისერტაციის დადებითად შეფასების (P) შემთხვევაში საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემის მიხედვით, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება:
- **summa cum laude -** ფრიადი (შეფასების ასქულიან სისტემაში შეესაბამება 91-100 ქულას)
- **magna cum laude** - ძალიან კარგი (შეფასების ასქულიან სისტემაში შეესაბამება 81-90 ქულა)
- **cum laude** - კარგი (შეფასების ასქულიან სისტემაში შეესაბამება 71-80 ქულას)
- **bene -** საშუალო (შეფასების ასქულიან სისტემაში შეესაბამება 61-70 ქულას)
- **rite -** დამაკმაყოფილებელი (შეფასების ასქულიან სისტემაში შეესაბამება 51-60 ქულას).

14.7. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას აცნობს ზეპირად.

14.8. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე სადისერტაციო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის ერთ ეგზემპლართან ერთად შემდეგ დოკუმენტებს:
- რეცენზენტის წერილობითი დასკვნები ხელმოწერილი და ფაკულტეტის ბეჭდით დადასტურებული,
- დისერტაციის დაცვის ოქმი დისერტანტის საპასუხო სიტყვებით (თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით და ფაკულტეტის ბეჭდით დადასტურებული)
- დისერტანტის ბანკბარათი

ჩამოთვლილი დოკუმენტები სადისერტაციო საბჭოს სხდომამდე, რომელზედაც დასმული იქნება საკითხი ამ სადისეტაციო კომისიის დასკვნის დამტკიცების თაობაზე, უნდა ინახებოდეს სადისერტაციო ან დარგობრივი სექციის მდივანთან და ხელმისაწვდომი უნდა იყოს გასაცნობად სადისერტაციო საბჭოს ყველა წევრისთვის.

14.9. დისერტაცია არ ითვლება დაცულად, თუ სადისერტაციო საბჭოს საბოლოო შეფასება იქნება (F) – ვერ დაიცვა. ასეთ შემთხვევაში დისერტანტს ეძლევა უფლება სათანადოდ გადამუშავებული ნაშრომი ერთი წლის შემდეგ თავიდან წარადგინოს დასაცავად. დადებითი შეფასების შემთხვევაში აღიძვრება შუამდგომლობა სადისერტაციო საბჭოს წინაშე დისერტანტისთვის დოქტორის ხარისხის მინიჭების თაობაზე;
14.10. დოქტორანტის განცხადება განმეორებითი დაცვის მოთხოვნის შესახებ სადისერტაციო საბჭოს წარედგინება შედეგის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში.

15. ხარისხის მინიჭება

15. 1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს (Ph.D) ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო ანიჭებს შემდეგ დარგებში:
ფილოსოფიის დოქტორი,
ფილოლოგიის დოქტორი,
ისტორიის დოქტორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
განათლების მეცნიერებების დოქტორი,
არქეოლოგიის დოქტორი,
ანთროპოლოგიის დოქტორი,
ამერიკანისტიკის დოქტორი
15.2. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება სადისერტაციო საბჭოზე სადისერტაციო კომისიის დასკვნის დამტკიცების გზით.
15.3. სადისერტაციო საბჭოს მიერ აკადემიური ხარისხის მინიჭება კანონიერად ითვლება, თუ საბჭოს ესწრებოდა საბჭოს წევრთა 1/3 მაინც, მათ შორის, დისერტაციის პროფილის დარგობრივი სექციის წევრთა ½ მაინც. და თუ დისერტაციის დაცვას ხმა მისცა საბჭოს დამსწრე წევრთაგან 2/3-ზე მეტმა.

15.4. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დისერტაციის სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ დამსწრეთ ინფორმაციას აწვდის სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე (ან მისი არყოფნის შემთხვევაში დარგობრივი სექციის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით – კომისიის ერთ-ერთი წევრი), რომელიც საბჭოს წარუდგენს დისერტაციის დაცვის დოკუმენტაციას და დისერტაციის ერთ ეგზემპლარს. საბჭოს სხდომაზე იმართება მსჯელობა. საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით (თითოეული დისერტაციის მიმართ) ხმის მიცემა უნდა იყოს ფარული ან ღია.

15.5. სადისერტაციო საბჭოს მიერ სადისერტაციო კომისიის დასკვნის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საბჭო თავის წევრთაგან გამოყოფს ერთ

ექსპერტს (სადისერტაციო თემის სპეციალისტს), რომლის წერილობით დასკვნას (რომელშიც წარმოდგენილი იქნება დისერტაციის შეფასება ზემოთ შემოთავაზებული სისტემის მიხედვით) დისერტანტის თანდასწრებით და საჭიროების შემთხვევაში სათანადო დისკუსიის თანხლებით მოისმენს საბჭოს რომელიმე მომდევნო სხდომაზე (სხდომას უნდა ესწრებოდეს სადისერტაციო კომისიის რამდენიმე წევრი, რომლებიც ამავე დროს არიან საბჭოს წევრები), რასაც თავიდან მოჰყვება ხმის მიცემის პროცედურა.თუ საბჭო სხდომაზე დაამტკიცებს ექსპერტის მიერ წარმოდგენილ დისერტაციის არადამაკმაყოფილებლად შეფასებას, დისერტაცია უბრუნდება დისერტანტს.

15.6. სადისერტაციო საბჭოზე დისერტაციის დაცვის პროცედურის ამსახველი საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი სადისერტაციო სხდომის მასალებთან (და საგანგებო შემთხვევაში ექსპერტის დასკვნასთან) ერთად (დისერტაციის ეგზემპლარის გარდა) ინახება სადისერტაციო საბჭოში ორი წლის განმავლობაში და შემდეგ გადაეცემა თსუ-ს არქივს.

16. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

16 .1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას ადასტურებს დიპლომი.
16.4. დიპლომი გაიცემა დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ.
16.3. დიპლომს ხელს აწერენ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ფაკულტეტის დეკანი და უნივერსიტეტის რექტორი. დიპლომი დასტურდება უნივერსიტეტის ბეჭდით.
16.5.დიპლომის ასლი ინახება უნივერსიტეტის არქივში.
16.2. დიპლომის გაცემამდე დოქტორანტს ეძლევა ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

17. **დისერტაციის გამოქვეყნება**
17.1 დოქტორანტი ვალდებულია, დისერტაციის დაცვის შემდეგ, არაუგვიანეს 6 თვისა, გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე არა გაიცემა დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი.

18. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა
18.1 დოქტორის აკადემიური ხარისხი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორს ჩამოერთმევა აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში. (სადისერტაციო ნაშრომში გაყალბებული მონაცემების გამოყენება ან პლაგიატი და სხვ.)

19. დაფინანსება

დოქტორანტის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო გრანტის, საუნივერსიტეტო დაფინანსების, სტიპენდიების, ქველმოქმედების და თვითდაფინანსების ფორმით.

თავი IV.
დოქტორანტურა პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით

1. შეთანხმება სადოქტორო პროგრამის განხორციელებაზე

სადოქტორო პროგრამის განხორციელება პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით წესრიგდება ამ უნივერსიტეტთან დადებული შეთანხმებით თანამშრომლობისა და ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ. უნივერსიტეტთაშორისი სადოქტორო პროგრამის ფორმებია:

- ერთობლივი სწავლების ორგანიზება;
- დოქტორანტის თანახელმძღვანელობა;
- ერთობლივი ხარისხის მინიჭება.

2. განცხადება დოქტორანტურაში დაშვების შესახებ

2.1. პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობის შემთხვევაში დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ორივე უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წინაპირობებს.
2.2 განცხადებას ამ დებულებით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად უნდა დაერთოს პარტნიორი უნივერსიტეტის შესაბამისი პროფესორის თანხმობა თემის თანახელმძღვანელობაზე.

3. დოქტორანტის ხელმძღვანელი

3.1. პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობის შემთხვევაში დისერტაციას ერთობლივად უნდა უხელმძღვანელონ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორებმა. აუცილებელია ორივე პროფესორის დასკვნა. დისერტაციის დაცვას ერთ-ერთი ხელმძღვანელი მაინც უნდა ესწრებოდეს.
3.2. თუ სადისერტაციო საქმის წარმოება უპირატესად პარტნიორ უნივერსიტეტში მიმდინარეობს, მოქმედებს პარტნიორი უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების პირობები.

4. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი

დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს გასცემს ის უნივერსიტეტი, რომელშიც დაცული იქნა დისერტაცია პარტნიორი უნივერსიტეტის მითითებით.

5. დისერტაციის წარდგენისა და დაცვის ენა

დისერტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულად და პარტნიორი უნივერსიტეტის სამუშაო ენაზე. იგივე წესი ვრცელდება დაცვასთან დაკავშირებით.

თავი V

1. გარდამავალი დებულებები

1.1 გარდამავალი დებულებები ეხება თსუ–ს ყოფილ ასპირანტებსა და მაძიებლებს, რომლებსაც საკანდიდატო მინიმუმის ყველა გამოცდა ჩაბარებული აქვთ 1999 – 2006 წლებში.
1.2. დოქტორის აკადემიური ხარისხის მისაღებად თსუ–ს ასპირანტებმა და მაძიებლებმა უნდა ჩააბარონ დოქტორანტურაში მინიმალური სტანდარტით განსაზღვრული წესით.

1.3. იმ კვლევითი ინსტიტუტების ასპირანტები, რომლებთანაც თსუ–ს დადებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება, დოქტორანტები ხდებიან ამ პარაგრაფის პირველი მუხლის შესაბამისად.

1.4. თსუ დოქტორანტურაში ჩარიცხული ასპირანტები და მაძიებლები, რომელთაც საკანდიდატო მინიმუმის საგნები აქვთ ჩაბარებული ან/და დისერტაციის აპრობაცია აქვთ გავლილი, თავისუფლდებიან ამ დებულებით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის კრედიტების დაგროვებისგან. დისერტაციის წარდგენა და დაცვა ხორციელდება დებულებით დადგენილი წესით.დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო ნაშრომზე საერთაშორისო გამოხამაურების არსებობა, სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია, ამ დებულების III თავის **10.5** პუნქტის შესაბამისად.

1.5. ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის დარგის ინდივიდუალური (გარდამავალი) სადოქტორო პროგრამების დოქტორანტებზე ვრცელდებასადისერტაციო ნაშრომზე საერთაშორისო გამოხამაურებისა და სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაციის ის მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრულია ამ დებულების **10.5 და 10.6** პუნქტებით.

1.6 ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის დარგის ინდივიდუალური (გარდამავალი) სადოქტორო პროგრამების დოქტორანტებისთვის, სადისერტაციო თემაზე გამოქვეყნებული/გამოსაქვეყნებლად მიღებული სტატიის საერთაშორისო რეცენზირება, ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის დასაბუთებული დასკვნის საფუძველზე შეიძლება შეიცვალოს ადგილობრივი რეცენზირებით.

1.7. თსუ-ს ის ასპირანტები და მაძიებლები, რომელთაც შესრულებული აქვთ ამ დებულებით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი და არა აქვთ ჩაბარებული საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები, სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული კრედიტების დაგროვების შემდეგ დისერტაციას წარადგენენ და დაიცავენ ამ დებულებით დადგენილი წესით.

1.8. ინდივიდუალურ სადოქტორო პროგრამებზე მიღება დასრულდება 2009-10 სასწვლო წლის შემოდგომის სემესტრში.

1.9. ინდივიდუალურ სადოქტორო პროგრამებზე სწავლის ხანგრძლივობა არის არაუმეტეს 6 სემესტრისა.

1. **დასკვნითი დებულებები**

დებულების მოქმედების სფერო

2.1. წინამდებარე დებულება, შემუშავებულია 2004 წლის 21 დეკემბრის

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონისა და თსუ აკადემიური საბჭოს 171-ე დადგენილების შესაბამისად ‘დოქტორანტურის მიმიმალური სტანდარტის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ" და აწესრიგებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის მოქმედების პრინციპებსა და წესს.

2.2. წინამდებარე დებულებაში დამატებისა და ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის დასმის უფლება აქვს სადისერტაციო საბჭოს ნებისმიერ წევრს. დასაბუთებულ წინადადებას განიხილავს სადისერტაციო საბჭო უახლოეს სხდომაზე და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. დებულებაში შეტანილ ყველა დამატებასა და ცვლილებას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

2.3. წინამდებარე დებულება ძალაში შედის თსუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცების დღიდან.

დანართი 1

უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) მიხედვით (www.alte.org) ALTE B2 – მესამე დონე (აკადემიური სფერო) მესამე დონე ითვლება გაწაფულობის საშუალო დონედ. ენის ამ დონეზე მცოდნეს უკვე უნდა შეეძლოს, თავი გაართვას ენის ძირითად სტრუქტურას და გამოიყენოს სხვადასხვა სიტუაციის შესაბამისი კომუნიკაციის სტრატეგიები. იგი ფლობს ფართო ლექსიკას. მოსმენისას და კითხვისას იგი სცილდება ფაქტობრივი ინფორმაციის ცალკეული პუნქტების გაგებას, შეუძლია განასხვავოს ძირითადი და მეორეხარისხოვანი საკითხები, ტექსტის ზოგადი თემა და სპეციფიკური დეტალები. სხვადასხვა ტიპის ტექსტის წერისას მას უნდა შეეძლოს როგორც არგუმენტის ჩამოყალიბება, ასევე მოვლენების აღწერა და თხრობა. ენის ამ დონეზე მცოდნეს გარკვეულწილად თავისუფლად შეუძლია სხვადასხვა კონტექსტში ენის გამოყენება. მას განვითარებული აქვს მეტი მოქნილობა და უნარი, რომ შეძლოს მოულოდნელ სიტუაციაში რეაგირება და ნაკლებად ეყრდნობა ენის უცვლელ ნიმუშებსა და მოკლე ფრაზებს. იგი უკვე კარგად ხვდება, როგორ უნდა დაიცვას ზრდილობის ის ნორმები, რომლებიც ენობრივად არის განსაზღვრული და როგორ უნდა ისაუბროს ოფიციალურ სიტუაციაში. B2 დონის გამოცდა გამოიყენება იმის დასამტკიცებლად, რომ ამ დონეზე ენის მცოდნე მზად არის შეასრულოს საოფისე სამუშაო და გაიაროს არააკადემიური კურსი იმ ენაზე, რომელსაც სწავლობს (მაგალითად იმ ქვეყანაში, სადაც ამ ენაზე ლაპარაკობენ). ამ დონეზე ენის მცოდნეს უნდა შეეძლოს ენის გამოყენება სამოხელეო, სამდივნო და მენეჯრის პოზიციებზე და ზოგ ინდუსტრიაში, განსაკუთრებით ტურიზმში. საუბარი სწავლისას, ენის ამ დონეზე მცოდნეს შეუძლია დასვას შეკითხვები ლექციაზე ან პრეზენტაციისას მისთვის ნაცნობ ან პროგნოზირებად თემაზე, თუმცა გარკვეული სირთულეებით. მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სემინარსა და წვრთნებში, თუმცა ისევ და ისევ გარკვეული სირთულეებით. წერა ენის ამ დონეზე მცოდნეს შეუძლია შეზღუდული გამოყენებისათვის ან შემდგომი გადამუშავების მიზნით ჩაიწეროს შენიშვნები ლექციებსა და სემინარებზე, თუმცა დამატებითი დროის უქონლობის შემთხვევაში შეექმნება სირთულეები. მას შეუძლია ამოიწეროს შენიშვნები წერილობითი წყაროებიდან, თუმცა შეიძლება გამორჩეს მთავარი საკითხები. მას შეუძლია დაწეროს ესსე, რომელშიც გადმოსცემს თავის აზრს, ან დაწეროს ექპერიმენტისა ანგარიში, რომელშიც ნაჩვენები იქნება შესრულებული სამუშაოს ძირითად შინაარსი. კითხვა მისი კითხვის უნარი აღემატება ყოველდღიური წერილებისა და ძირითადი საგაზეთო/ჟურნალის სტატიების გაგების უნარს. მას შეუძლია გაეცნოს მისთვის განსაკუთრებულად საინტერესო ფაქტობრივ ინფორმაციას და საკუთარი გემოვნებით შერჩეულ მხატვრულ ლიტერატურას.

მას შეუძლია თავი გაართვას მცირე მოცულობის მოხსენებებსა და სტატიებს პროგნოზირებად თემებზე და გაიგოს მისთვის ნაკლებად ცნობილ თემაზე სტატიის ან მოხსენების ზოგადი შინაარსი, თუმცა ინფორმაციის ბუნდოვნად

გამოხატვის შემთხვევაში არასწორად გაგებაა მოსალოდნელი. ამ დონეზე ენის მცოდნე არის ენაში საკმარისად გაწაფული იმისათვის, რომ დასძლიოს არააკადემიური ტრენინგები, რომლებიც სასწავლო ენაზე ტარდება. ამ დონეზე ენის მცოდნეს შეუძლია დაძლიოს ლექციის, პრეზენტაციის მასალა მისთვის ნაცნობ სფეროში ან იმ შემთხვევაში, როცა კონტექსტს კარგად იცნობს, თუმცა შეიძლება შეექმნას სირთულეები აბსტრაქტული არგუმენტაციის გაგებისას. მას შეუძლია წაიკითხოს მარტივი სახელმძღვანელოები და სტატიები, თუმცა არც ისე სწრაფად, რომ დასძლიოს აკადემიური კურსი. მოსმენა სწავლისას, მას შეუძლია გაიგოს მისთვის ნაცნობ თემაზე ლექციის ზოგადი შინაარსი.

B 2 დონის შესაბამისი სერთიფიკატების და ქულების ნუსხა

გერმანული ენა	Goethe-Zertifikat B2
ინგლისური ენა	CEFR B2

IELTS exam – 5
BEC exam and CELS exam -- Vantage
Cambridge exam – FCE
Pitman ESOL Intermediate
TOEIC – 541
TOEFL – 500 (paper-based) 173 (computer-based) 61 (internet-based)

ფრანგული ენა Diplôme de Langue Française (DL) (AF)
Diplôme d' Etudes en Langue Française DELF/B2 (CIEP)

სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნას, ათავისუფლებს კანდიდატს ამ ენებში გამოცდისაგან. ამ ენებში გამოცდისაგან ასევე თავისუფლდებიან კანდიდატები, რომელთაც ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის კურსი გავლილი აქვთ ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენაზე. გერმანულ ენაში გამოცდისგან თავისუფლდებიან აგრეთვე ის კანდიდატები, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ: Zertifikat Deutsch für den Beruf, DAF, Sprachdiplom Kultusminister 2. Konferenz, ZMP, Zentrale Oberstufenprüfung, Kleines/Grosses Deutsches Sprachdiplom, DSH უნივერსიტეტებისთვის.

ფორმა 1

დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

დოქტორანტის სახელი და გვარი: _____

ფაკულტეტი: _____

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი:

_____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: _____

კონსულტანტი: _____

დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი: _____

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: _____

სასწავლო კომპონენტი	კრედიტების შესაძლო რაოდენობა	დოქტორანტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობა	შეფასება (“ჩაეთვალა”/“არ ჩაეთვალა”)
სწავლების თანამედროვე მეთოდები	5 კრედიტი		
კვლევის მეთოდები	5-10 კრედიტი		
მეცნიერების მენეჯმენტი	5 კრედიტი		
საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები	5-30 კრედიტი		
პრაქტიკა	5-10 კრედიტი		
საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში	5-15 კრედიტი		

მოსმენილი სასწავლო კურსი			
უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი	5-60 კრედიტი		
პროფესორის ასისტენტობა	5-15 კრედიტი		
აკადემიური წერა	5 კრედიტი		
სპეციფიკური დარგობრივი კურსები	5-15 კრედიტი		
დოქტორანტის I კოლოკვიუმი	5 კრედიტი		
დოქტორანტის II კოლოკვიუმი	5 კრედიტი		
სხვა			

დოქტორანტის ხელმოწერა: _____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის
/თანახელმძღვანელის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

ფორმა 2

დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა

დოქტორანტის სახელი და გვარი: _____

ფაკულტეტი: _____

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი:

_____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: _____

კონსულტანტი: _____

დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი: _____

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: _____

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება: _____

სადისერტაციო ნაშრომის მოკლე აღწერილობა:

ა) კვლევის მიზანი:

ბ) საკითხის აქტუალობა, სიახლე და მნიშვნელობა:

გ) სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა:

დ) სადისერტაციო ნაშრომის შესრულების (კვლევის) სავარაუდო გრაფიკი:

დოქტორანტის ხელმოწერა: _____

სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის /თანახელმძღვანელის/ ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

ფორმა 3

ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ (პროფესორის ასისტენტობა)

დოქტორანტის სახელი და გვარი: _____

ფაკულტეტი: _____

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი:

_____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: _____

კონსულტანტი: _____

დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი: _____

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: _____

შესრულებული სამუშაო	დახარჯული დროის მოცულობა	დოქტორანტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობა[1]	შეფასება
სემინარი	საკონტაქტო საათების რაოდენობა: დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა:		

[1] ამა თუ იმ აქტივობაზე დახარჯული საათების საერთო რაოდენობა იყოფა 25-ზე და მიიღება შესაბამისი კრედიტი.

	სულ:		
ლაბორატორიული სამუშაო	საკონტაქტო საათების რაოდენობა: დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა: სულ:		
პრაქტიკუმი	საკონტაქტო საათების რაოდენობა: დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა: სულ:		
ლექცია "საბავშვო უნივერსიტეტში"	საკონტაქტო საათების რაოდენობა: დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა: სულ:		
შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადება	მომზადებული მასალის მოცულობა: მასალის მომზადებაზე დახარჯული დრო:		
სტუდენტთა ნაშრომების გასწორება	ნაშრომების რაოდენობა: თითოეული ნაშრომის გასწორებაზე დახარჯული დრო:		

	სულ:		
საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება	ნაშრომების რაოდენობა: თითოეული ნაშრომის რეცენზირებაზე დახარჯული დრო: სულ:		
ელექტრონული სასწავლო კურსებისთვის მასალების მომზადება	მომზადებული მასალის მოცულობა: მასალის მომზადებაზე დახარჯული დრო:		
საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა	ნაშრომების რაოდენობა: თითოეული ნაშრომის ხელმძღვანელობაზე დახარჯული დრო: სულ:		
ტუტორობა	სტუდენტთა კონსულტაციაზე დახარჯული დრო:		
სხვა			

დოქტორანტის ხელმოწერა: _____

პროფესორის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის
მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

დანართი 3

სასწავლო კომპონენტის განმარტებანი

სწავლების თანამედროვე მეთოდები (5–15 კრედიტი) – აღნიშნული სასწავლო კურსის წაკითხვას უზრუნველყოფს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა მიმართულება სხვადასხვა ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან, უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობით შემუშავებული სილაბუსის მიხედვით. დოქტორანტურის ყველა სალექციო კურსის სილაბუსი უნდა იყოს დამტკიცებული თსუ-ში დადგენილი წესით.

კვლევის მეთოდები (5-15 კრედიტი) – კვლევის მეთოდების ცალკეული კურსის (მოდულის) წაკითხვას უზრუნველყოფს: ა) თსუ აკადემიური პერსონალი/მოწვეული პედაგოგი უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობით შემუშავებული სილაბუსის მიხედვით; ბ) თსუ აკადემიური პერსონალი/მოწვეული პედაგოგი იმ სილაბუსის მიხედვით, რომელმაც გაირა საერთაშორისო ექსპერტიზა; გ) საზღვარგარეთ, წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კვლევით ცენტრებში მოღვაწე, შესაბამისი სასწავლო კურსის წაკითხვის გამოცდილების მქონე ქართველი მოწვეული პროფესორი; დ) შესაბამისი სასწავლო კურსის წაკითხვის გამოცდილების მქონე უცხოელი მოწვეული პროფესორი.
შესაძლებელია, დოქტორანტმა "კვლევის მეთოდები" გაიაროს არა თავისი, არამედ მომიჯნავე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, ან სხვა ფაკულტეტზე, თუ ამას მოითხოვს მისი სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკა.
შესაძლებელია მომზადდეს კვლევის მეთოდების რამდენიმე კურსი (თითოეული 2,5 კრედიტიანი), რომელთა საფუძველზეც დოქტორანტებს შევთავაზებთ კვლევის მეთოდების მოდულს.

მეცნიერების მენეჯმენტი (5 კრედიტი) – კვლევის მეთოდების ცალკეული კურსის (მოდულის) წაკითხვას უზრუნველყოფს თსუ აკადემიური პერსონალი/მოწვეული პედაგოგი თსუ სამეცნიერო დეპარტამენტთან, უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობით შემუშავებული სილაბუსის მიხედვით.

საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები (5-30 კრედიტი) – იმ შემთხვევაში, თუ აკადემიური წარსულიდან (ანუ განათლებიდან), ან სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტს სჭირდება გარკვეული დარგობრივი კომპეტენციების დამატებით შეძენა, მას აქვს უფლება თავისი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან (კოორდინატორთან) შეთანხმებით გაიაროს ესა თუ ის სასწავლო კურსი, რომელიც შემოთავაზებულია მთელი საუნივერსიტეტო კურიკულუმის ფარგლებში (ეს ეხება განსაკუთრებით იმ დოქტორანტებს, რომლებიც დოქტორანტურაში იცვლიან სპეციალობას).

პრაქტიკა (5-10 კრედიტი) – სადოქტორო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია დოქტორანტმა გარკვეული დრო პრაქტიკას დაუთმოს. მაგალითად, საველე პრაქტიკა, პრაქტიკა სკოლაში, საწარმოში და სხვ. თუ სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკას, მაშინ წინასწარ უნდა იქნას წარმოდგენილი პრაქტიკის გეგმა (სილაბუსი), რომელიც პროგრამასთან ერთად დამტკიცდება, ხოლო დოქტორანტის მიერ გავლილი პრაქტიკის შეფასება მოხდება პრაქტიკის ანგარიშის ფორმით.
პრაქტიკისათვის კრედიტის მინიჭების წინაპირობა არის დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის დადებითად შეფასება სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელისა და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის (კოორდინატორის) მიერ (შესაძლებელია ორგვარი შეფასება: "ჩაეთვალა"/"არ ჩაეთვალა").

საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი (5-15 კრედიტი).

უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი (5-60 კრედიტი).

პროფესორის ასისტენტობა (5-30 კრედიტი) – დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში, "სწავლების თანამედროვე მეთოდების" კურსის გავლის შემდეგ დოქტორანტი ვალდებულია ასისტენტობა გაუწიოს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში.
პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს შემდეგს: სემინარების, ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკუმების ჩატარება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის სამეცნიერო ხელმძღვანელის (ამა თუ იმ სრული ან ასოცირებული პროფესორის) ხელმძღვანელობით; სალექციო კურსის წაკითხვა "საბავშვო უნივერსიტეტის" მსმენელებისათვის; შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადება სამეცნიერო ხელმძღვანელის (ამა თუ იმ სრული ან ასოცირებული პროფესორის) ხელმძღვანელობით; სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება; ელექტრონული სასწავლო კურსის მომზადება სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით (ე. წ. LMS – Learning Management System – Moodle და სხვ.) მასალების მომზადება; საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა; ტუტორობა, ფაკულტეტის სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკებისა და საველე ექსპედიციების მომზადებაში, მუშაობაში, მასალის დამუშავებაში პროფესორისათვის გაწეული დახმარება, ფაკულტეტის სამეცნიერო გამოცემების მომზადებაში დახმარება და სხვ.
კრედიტების რაოდენობა დამოკიდებულია ჩატარებული საათების რაოდენობაზე და იმ დროზე, რომელიც მოანდომა დოქტორანტმა შესრულებულ სამუშაოს.
კრედიტების მინიჭება ხდება შემდეგი პრინციპით: თითოეულ ჩატარებულ საათს ემატება ოთხი საათი, ანუ პირობითად ის დრო, რომელსაც ანდომებს დოქტორანტი მისთვის მზადებას. მაგალითად, დოქტორანტმა სემესტრის განმავლობაში ჩაატარა 30 სემინარი. 30 + 120 = 150. 150 : 25 = 6 კრედიტი.

საათების რაოდენობას შეიძლება დაემატოს ის დრო, რომელიც დოქტორანტმა დაუთმო თავისი ხელმძღვანელის (ან სხვა რომელიმე სრული და ასოცირებული პროფესორის) ლექციებზე დასწრებას პროფესიული სრულყოფის, შესაბამისი მეთოდოლოგიის დაუფლების მიზნით. მაგალითად, თუ დოქტორანტმა სემესტრში ჩაატარა 30 სემინარი და დაესწრო სხვის მიერ ჩატარებულ 15 ლექციას, მაშინ კრედიტის მინიჭება მოხდება შემდეგი პრინციპით: 30 + 120 + 15 = 165. 165 : 25 = 7 კრედიტი.

კრედიტების რაოდენობა დამოკიდებულია გასწორებული ნაშრომების რაოდენობაზე. მაგალითად, თითოეული ნაშრომის გასწორებას დოქტორანტი პირობითად ანდომებს 1 საათს. თუ მან გაასწორა 150 ნაშრომი, მას ამ საქმეზე დაუხარჯავს 150 საათი. 150 : 25 = 6 კრედიტი.

დოქტორანტის მიერ პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე (ფორმა 3).

პროფესორის ასისტენტობისთვის კრედიტის მინიჭების წინაპირობა არის შესრულებული სამუშაოს დადებითად შეფასება იმ პროფესორის მიერ, რომელსაც დოქტორანტმა ასისტენტობა გაუწია (შესაძლებელია ორგვარი შეფასება: “ჩაეთვალა”/“არ ჩაეთვალა”).

დოქტორანტის მიერ ჩატარებული სემინარების, ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკუმების საათები არ უნდა შედიოდეს აკადემიური პერსონალის და/ან მოწვეული პროფესორების საათობრივ დატვირთვაში.

იმ დოქტორანტებს, რომლებსაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასისენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობა უკავიათ, ენიჭებათ პროფესორის ასისტენტობისთვის განკუთვნილი მინიმალური 5 კრედიტი.

აკადემიური წერა (5 კრედიტი) – იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტს ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში მოსმენილი არა აქვს “აკადემიური წერის” კურსი, შესაძლებელია მისი გავლა დოქტორანტურის დონეზე.

ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა (10 კრედიტი) – თუ დოქტორანტს პროფესორის ასისტენტობისთვის განსაზღვრული კრედიტების დაგროვება სურს ელექტრონული კურსის (კურსების) მომზადებით, მას ეძლევა სათანადო ცოდნის და პრაქტიკული უნარების მიღების საშუალება.

სპეციფიკური დარგობრივი კურსები (5-15 კრედიტი) – აღნიშნული სასწავლო კურსის წაკითხვას უზრუნველყოფს: ა) თსუ აკადემიური პერსონალი/მოწვეული პედაგოგი უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობით შემუშავებული სილაბუსის მიხედვით; ბ) თსუ აკადემიური პერსონალი/მოწვეული პედაგოგი იმ სილაბუსის მიხედვით, რომელმაც გაირა საერთაშორისო ექსპერტიზა; გ) საზღვარგარეთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კვლევით ცენტრებში მოღვაწე, შესაბამისი სასწავლო კურსის

წაკითხვის გამოცდილების მქონე ქართველი მოწვეული პროფესორი; დ) შესაბამისი სასწავლო კურსის წაკითხვის გამოცდილების მქონე უცხოელი მოწვეული პროფესორი.

დოქტორანტის კოლოკვიუმი (მოხსენება სადოქტორო სემინარზე) (არანაკლებ 10 კრედიტისა)

დოქტორანტის კოლოკვიუმი არის დოქტორანტის სასემინარო ნაშრომის წარდგენა სადოქტორო სემინარზე და მისი დაცვა.

დოქტორანტის მოხსენება სადოქტორო სემინარზე, ანუ დოქტორანტის კოლოკვიუმი, დოქტორანტურაში სწავლის აუცილებელი ნაწილია. კოლოკვიუმზე ხდება კვლევის შედეგების პრეზენტაცია, დისკუსია, ახალი სამეცნიერო ლიტერატურის, მიღწევების და პრობლემების განხილვა.

დოქტორანტის კოლოკვიუმისთვის კრედიტის მინიჭების წინაპირობაა სემინარზე მოხსენების წარდგენა.

ფაკულტეტზე სხვადასხვა სადოქტორო პროგრამის გაერთიანების შედეგად იქმნება **სადოქტორო სემინარი,** რომელსაც სავალდებულო წესით ესწრებიან შესაბამისი სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები (კოორდინატორები), სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელები და დოქტორანტები; შესაძლებელია შეიქმნას ინტერდისციპლინური და ინტერფაკულტატური სემინარები.

სადოქტორო სემინარზე თსუ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, ქართველი და უცხოელი მოწვეული პროფესორები, დოქტორანტები კოლეგებს წარმოუდგენენ მოხსენებებს მეცნიერების სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, ამა თუ იმ მეცნიერული პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე, რომელსაც მოჰყვება დისკუსია.

სადოქტორო სემინარის ფარგლებში დოქტორანტი ერთ-ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორის ხელმძღვანელობით წარმოადგენს სამეცნიერო კვლევის შედეგების პრეზენტაციას და დაიცავს შესაბამის სასემინარო ნაშრომს.

დოქტორანტი ვალდებულია დოქტორანტურაში სწავლის მანძილზე ორჯერ მაინც წარდგეს სემინარზე მოხსენებით. ნაშრომის სემინარზე წარდგენა და დაცვა შესაძლებელია სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე დოქტორანტის თავისუფალი არჩევნის მიხედვით.

სასემინარო ნაშრომის საორიენტაციო მოცულობა 15-20 გვერდია. იგი შესრულებული უნდა იყოს აკადნუსხურით, ფურცლის ზომა A4, ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა – 12, სქოლიოსი – 10, სტრიქონებს შორის მანძილი – 1,0, გვერდების საზღვრები – მარცხნიდან – 2,0სმ., მარჯვნიდან – 1,5სმ; ზემოდან და ქვემოდან 2,0სმ. ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის სია.

სასემინარო ნაშრომი ფასდება თსუ-ში დადგენილი ასქულიანი შეფასების სისტემის მიხედვით.

სასემინარო ნაშრომის დადებით შეფასებას 31-დან 60 ქულამდე და საჯარო დაცვის 20-დან 40 ქულამდე მისი შინაარსისა და საჯარო დაცვის გათვალისწინებით ახდენს სასემინარო ნაშრომის ხელმძღვანელი.

დოქტორანტმა შეიძლება მოამზადოს და წარმოადგინოს სასემინარო მოხსენება არა სადისერტაციო ნაშრომის თემაზე, არამედ შესაბამისი დარგის ამა თუ იმ აქტუალურ სამეცნიერო პრობლემაზე.

სადოქტორო სემინარების ჩატარებას უზრუნველყოფს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაცია. სემინარების მუშაობას კოორდინირებას უწევს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური.

სხვა – დოქტორანტის სხვა სახის საქმიანობის მიჩნევა დოქტორანტის სასწავლო კომპონენტად და მისთვის კრედიტების მინიჭება ხდება დოქტორანტის ხელმძღვანელის წარდგინებით, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელის) და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ერთობლივი დასკვნის საფუძველზე.

დანართი 4

საერთაშორისო რეცინზირებისათვის სტატიების წარმოდგენისა
და მათი შეფასების წესი

1. სტატიის სარეცენზიოდ წარდგენა

- წარმოსადგენი სტატიების რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით.
- საერთაშორისო რეცენზირებისათვის დოქტორანტმა უნდა წარადგინოს გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სტატიის ნაბეჭდი და ელექტრონული PDF ვერსია კომპაქტური დისკით;
- იმ შემთხვევაში, თუ სტატია გამოქვეყნებულია ქართულ ენაზე, დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს სტატიის თარგმანი რომელიმე ევროპულ სამეცნიერო ენაზე (ნაბეჭდი და ელექტრონული PDF ვერსია კომპაქტური დისკით). სტატიის თარგმანის ელექტრონული ვერსიის ტექნიკური გაფორმება (შრიფტის ზომა, სტრიქონებს შორის მანძილი, გვერდის საზღვრები და ა.შ.) არ არის მკაცრად განსაზღვრული.
- სტატიის ნაბეჭდ ვერსიას თან უნდა ახლდეს მოკლე ანოტაცია ქართულად და დარგის სპეციალისტის (რომელიც არ უნდა იყოს დოქტორანტის ხელმძღვანელი) წერილობითი დასკვნა სტატიის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე (შუამდგომლობა სტატიის სარეცენზიოდ გასაგზავნად).
- დოქტორანტი და სტატიის მიღებაზე პასუხისმგებელი პირი ხელს აწერენ დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება სტატიის მიღება და სტატიის ჩაბარების თარიღი. დოკუმენტის ასლი ინახება დოქტორანტთან სტატიის რეცენზირების დასრულებამდე.

2. რეცენზენტები

- დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი სტატია ეგზავნება არანაკლებ ორ უცხოელ ექსპერტს, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.
- ექსპერტის ვინაობა კონფიდენციალურია, როგორც სტატიის გაგზავნისას, ასევე რეცენზიის მიღების შემდგომ პერიოდში.

3. შეფასების სისტემა

1. სტატიის შეფასება ხორციელდება 20 ქულიანი სისტემით. ნაშრომი დადებითად ფასდება, თუ ის მოაგროვებს არანაკლებ 12 ქულას.
2. შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა. შინაარსი (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: პრობლემის აქტუალურობა; იკვეთება თუ არა დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, არის თუ არა ნათელი ავტორის მიზანი. არგუმენტაცია ზუსტი, კონკრეტული და კომპლექსური. კონცენტრირებულია თუ არა სტატია ძირითად საკვლევ საკითხებზე.

ბ. ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: ავტორის მიერ ყველა იდეის სრულად განვითარება. საკითხის სიღრმისეულად შესწავლა, საკვლევი საკითხის ამომწურავად შესწავლა. ავტორის პოზიცია გამყარებულია თუ არა ნათელი და სარწმუნო არგუმენტაციით. არის თუ არა საკმარისი რაოდენობის დამხმარე ლიტერატურა. არის თუ არა დამხმარე ლიტერატურა სპეციფიკური და არა ზოგადი. გვაქვს თუ არა აკადემიური და მიმდინარე შრომების ბალანსი.

გ. მონაცემთა სარწმუნოობა (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: მონაცემების სისწორე. წყაროდ გამოყენებულია თუ არა კომპეტენტური ავტორის მიერ დაწერილი ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია კარგი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ. პირველწყაროდან იღებს თუ არა ავტორი თანამედროვე მეცნიერების მონაცემებს. რამდენად ორგანულად ერწყმის ტექსტს მოყვანილი ციტატები. არის თუ არა მონაცემები მოყვანილი შესაბამისი წყაროებიდან და არის თუ არა ყველა ციტირებული წყარო აღნიშნული ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში.

დ. სტრუქტურა **(მაქსიმუმ 4 ქულა).** მოწმდება: არის თუ არა სტატია კარგად სტრუქტურირებული. კეთდება თუ არა მეტი აქცენტი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, ხოლო უფრო ნაკლები – შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონეზე. სტატია კარგად თუ არის ორგანიზებული და მისი ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. როგორია პარაგრაფიდან პარაგრაფზე გადასვლა. თითოეული პარაგრაფი სრულად თუ არის განვრცობილი.

ე. შედეგები (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: შედეგები რამდენად არის ახალი, მნიშვნელოვანი და დამაჯერებელი. შემუშავებულია თუ არა ახალი მიდგომა. არის თუ არა ახალი მონაცემები ახალი დასკვნებისათვის. ხომ არ არის დასკვნებში სუსტი ადგილები. ლოგიკურია თუ არა დასკვნები.

2. თუ ორი დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასება არის არანაკლებ 12 ქულა, დასკვნა დადებითია. თუ ერთი ექსპერტის შეფასება უარყოფითია, ხოლო მეორის დადებითი, სტატია ეგზავნება მესამე ექსპერტს. ორი უარყოფითი დასკვნის მიღების შემთხვევაში სტატია უბრუნდება დოქტორანტს დასამუშავებლად.

4 . შედეგების გაცნობა

1. ნაშრომი და ნაშრომის შეფასება არ არის ხელმისაწვდომი თსუ პერსონალისა და სტუდენტებისათვის, გარდა მეორე პუნქტით გათვალისწინებული პირებისა.
2. ნაშრომის შეფასების შედეგი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დოქტორანტს, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელსა და ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თვმჯდომარეს.